ოქმი:**ო63.6321182001**
თარიღი:**01/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 29 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 18 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე (ონლაინ ჩართვა), ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ტარიელ თევზაძე (ონლაინ ჩართვა), ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა, კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ლაშა ორმოცაძე.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანაშემწე, ლაშა ნიკოლეიშვილი.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, გიორგი მელქაძე.

4. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტელე-კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი, ტარიელ თევზაძე, დავით ნიკოლეიშვილი და რაჟდენ ტორონჯაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში, მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

3. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში, მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 62-622117643, 25/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების საკითხს. საპროექტო იდეის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოზე განსახილველად წარსადგენად აუცილებელი პირობაა, იდეა მოწონებული იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად

1. მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეები (დანართი №1).

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეები

	საპროექტო იდეის სახელწოდება	**პროექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი)**			**პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები**	
		ჯამური ბიუჯეტი	**მოთხოვნილი გრანტი**	**თანადაფინანსება (ადგილობრივი ბიუჯეტი)**	**დაწყება**	**დასრულება**
1	ყოფილ ინდუსტრიულ უბანში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის (სპორტის სასახლის) და საინვესტიციო ზონის მშენებლობა	10 000 000	9 400 000	600 000	08.2021	12.2022
2	ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ 2 სათადარიგო სპორტული მოედნის მოწყობა	2 500 000	2 350 000	150 000	08.2021	12.2022
3	ე.წ. ხდკ-ს დასახლებაში ახალი საფეხბურთო მოედნის მშენებლობა	15 000 000	14 000 000	1 000 000	08.2021	12.2022
4	სარაგბო სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	200 000	190 000	10 000	08.2021	12.2021
5	მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის მყარი ინფრასტრუქტურის, გასართობ დასასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობა ნაბაკევში	542 586	500 000	42 586	08.2021	12.2021
6	სოფ ქვემო ნოღაში საბავშვო ბაღის მშენებლობა	600 000	550 000	50 000	08.2021	12.2022
7	ტოლების ცენტრალური გზიდან	653 961	630 000	23 961	08.2021	12.2021

	ტელეფისის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება					
8	სანაპიროს ქუჩაზე დენდროლოგიური პარკის მოწყობა	316 537	300 000	16 537	08.2021	12.2021
9	რეგიონულ ცენტრთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა	250 000	235 000	15 000	08.2021	12.2021
10	რეგიონული ცენტრის, როგორც ტურისტულ-ეკონომიკური არეალის განვითარება მის ფუნქციურ არეალში, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ახალი (განსხვავებული) ტურისტული შესაძლებლობების შექმნით	2 500 000	2 400 000	100 000	08.2021	12.2022
11	ე.წ. ბაძგნარის დასახლების ბიზნეს-ურბანიზებულ უბნად გადაქცევა	4 500 000	4 250 000	250 000	08.2021	12.2022

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ სტურუამ, აკაკი მინაშვილმა, კობა ძიძიგურმა, ბადრი შენგელიამ.

პროექტის ირგვლივ დასმული იყო სხვადასხვა შეკითხვები. გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებით აუცილებელია სპორტის სასახლის მშენებლობის დაწყება.

ლაშა ორმოცაძემ დეტალურად განმარტა თითოეული იდეის არსი და მნიშვნელობა. აღნიშნა, რომ რეგიონების განვითარების კომისიას უნდა წარვუდგინოთ იდეები, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის. წარმოდგენილ იდეებს შორის არის ყოფილი ინდუსტრიული უბნის ხელახალი რეგენერაცია.

წარმოდგენილი თერთმეტი იდეა, 2020-2022 წლების პროგრამა, რომელიც უნდა იქნას განხილული საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. შარშან იყო

განაცხადის წარდგენა, წელს კი ჯერ წარდგენილი იქნება იდეა და მოწონების შემთხვევაში წარვადგენთ განაცხადს. მართალია ერთდროულად ვერ მოხდება ყველა იდეის განხილვა, მაგრამ ეტაპობრივად, დაახლოებით თვენახევის შემდეგ გვეცოდინება რომელი იდეა იქნება მოწონებული. თუმცა იდეების წარდგენა ჯერ არ დამთავრებულა, ის 7 იანვრამდე გრძელდება. საჭიროა საკრებულოს თანადგომა და მოწონება ამ პროექტის. ამის შემდეგ კი მოხდება განხილვა. პროექტში წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულების იდეები. შექმნილია საპილოტე რეგიონალური განვითარების ინტეგრირებული პროგრამა, დაფინანსების ლომის წვლილი არის ევროკავშირის და წილობრივად საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. წარმოდგენილი პროექტები თითქმის ყველა არის პრიორიტეტული. აქ არის 7 ქვეთავი და თითოეული პროექტი არის პრიორიტეტული.ზოგი არის ინდუსტრიული უბნის აღორძინების, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი, ტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ა. შ. ნებისმიერი განაცხადი ცალკე აღებული არის პრიორიტეტული განაცხადი. აქ გათვალისწინებულია მიზნობრიობა, სარგებელი რამდენად აჭარბებს ხარჯს, მოსალოდნელი შედეგები მოსახლეობაზე და ა.შ. არის წლევანდელი ბიუჯეტიც, რომელიც საგრძნობლად ნაკლების და აქ შეიძლება წარსდგეს მხოლოდ ისეთი პროექტი, რომელიც უკვე არსებობს და მოწონებულია. 2020 წლის ბოლომდე კი ისეთი იდეა, როგორიცაა პირველი, სპორტის სასახლის, წელიწადნახევარი საკმარისი დროა საქმის დასრულებისთვის.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (სრიგპ) ფარგლებში, მიმდინარე წელს გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო ***2021 წლის 21 ივნისის*** **N:03-63211732-63**, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის GOV 6 21 00021491 და მუნიციპალიტეტის მერის N 62-622117644, 25/06 /2021 წ. წერილობითი მომართვები, რომლებიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივ ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობას. შესაბამისად განხორციელდა საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის N9 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზა, რა დროსაც გამოვლინდა რიგი ხარვეზები. აღნიშნულის თაობაზე მიემართა მუნიციპალიტეტის მერიას. შესაბამისმა სამსახურმა მოგვაწოდა ცვლილების

პროექტი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის, საჯაროდ გამოქვეყნების წესის, პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე, ამ წესის აღსრულების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ, მერია) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.''

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის მე-2 მუხლის, პირველი პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომ, სტრუქტურული ერთეული), ან პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290^4-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომ, პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.''

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/ დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11

ქ. სამტრედია 29 ივნისი 2021 წელი

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290^4-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 ივნისის №9 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებ-პორტალი, 09. 06. 2021. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016369) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის, საჯაროდ გამოქვეყნების წესის, პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 1.**

ეს წესი განსაზღვრავს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე, ამ წესის აღსრულების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ, მერია) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.''

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის მე-2 მუხლის, პირველი პუნქტი, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომ, სტრუქტურული ერთეული), ან პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290^4-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომ, პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.''

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი